

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 04 06 2017 წ.

ერთის მხრივ, სს „საქართველოს რკინიგზა,“ წარმოდგენილი მისი ინფრასტრუქტურის დირექტორის ვასილ ხორავას სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15 (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შპს „მკს“, წარმოდგენილი მისი დირექტორის სერგო კორინთელის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, წალენჯიხის ქ. №20 (შემდგომში – მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2017 წლის 21 აპრილს გამოცხადდა და 15 მაისს დასრულდა წინადადებების მიღება ელექტრონულ ტენდერზე აუქციონის გარეშე (№NAT170004421) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ქურის შესყიდვის შესახებ, (CPV კოდი – 32500000), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება, რომლის თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, მიაწოდოს შემსყიდველს დანართით (ფასების ცხრილი) გათვალისწინებული მახასიათებლების შესაბამისი 100 (ასი) ცალი ქურო ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის პლასტმასის 24 მარღვიანი (შემდგომში – საქონელი). ერთეულის ფასი – 30,7188 აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე.

სატენდერო პირობების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის 3.4 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულება ფორმდება აშშ დოლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2017 წლის 15 მაისისათვის (ელექტრონული ვაჭრობის დღისათვის) დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის (1 USD – 2,4415 ლარი) მიხედვით.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენს - 3 071,88 (სამი ათას სამოცდათერთმეტი აშშ დოლარი და ოთხმოცდარვა ცენტი) აშშ დოლარს, ხოლო დღგ-ს ჩათვლით 3 624, 82 (სამი ათას ექვსასოცდაოთხი აშშ დოლარი და ოთხმოცდაორი ცენტი) აშშ დოლარს (შემდგომში – ხელშეკრულების ღირებულება).

**წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:**

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
  - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
  - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილი;
  - გ) ამონაწერი სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემიდან ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ;
  - დ) დანართი ხელშეკრულების ადმინისტრირების შესახებ;
  - ე) საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდიდან ამონაწერი ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსის შესახებ;
  - ვ) ხელშეკრულების საერთო პირობები;
  - ზ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები.
3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ნაკისრი ვალდებულებები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 30 დეკემბრისა.

**„შემსყიდველი“**

სს „საქართველოს რკინიგზა“  
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15  
ს/კ 202886010

სს „საქართველოს ბანკი“  
ბანკის კოდი: BAGAGE22  
ა/ა GE09BG0000000128695301

ვასილ ხორავა  
ინფრასტრუქტურის დირექტორი



**„მიმწოდებელი“**

შპს „მკს“  
ქ. თბილისი, წალენჯიხის ქ. №20  
ს/კ 206256727

სს „თბილისი ბანკი“  
ბანკის კოდი: TBCBGE22  
ანგარიშის №GE17TB1100000360200660  
ტელ: 595 358601

სერგო კორინთელი  
დირექტორი

